პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი. № 115 (12931) | სამშაბათი, 19 მაისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

17 მაისს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიდი ლენინის ერთგული მოწაფე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს, მძიმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომ 1964 წლის 17 მაისს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 83 წლის ასაკში გარდაიცვალა **ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი** — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1904 წლიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, დიდი ლენინის ერთგული მოწაფე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო



ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი

სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი.

მთელი თავისი დიდი და ნათელი სიცოცხლე, მთელი თავისი ძალ-ღონე, ღრმა ცოდნა და ცხოვრების მდიდარი გამოცდილება ოტო ვილჰელმის-ძემ მოახმარა მუშათა კლასის საქმეს, მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას, კომუნიზმის დიად საქმეს. ლენინური გვარდიის ურყევი მებრძოლი, დიდი ლენინის მოწაფე და თანამებრძოლი, იგი ახალგაზრდობის წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იყო კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, მედგრად იბრძოდა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების გამარჯვებისათვის.

ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი დაიბადა 1881 წლის 3 ოქტომბერს ფინეთის სოფელ ლაუკაში, მკერავის ოჯახში. სწავლობდა ქალაქ იუვასკიულიას გიმნაზიაში. შემდეგ დაამთავრა ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტი და მიიღო ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ო. ვ. კუუსინენის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი მჭიდროდ დაკავშირებულია ფინეთის მუშათა კლასის ბრძოლასთან, მთელი რუსეთის პროლეტარულ მოძრაობასთან. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როცა 1904 წელს ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში შევიდა. მალე გახდა მისი შემრცხენე, რევოლუციური ფრთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიურ ბრძოლას ეწეოდა ფინეთის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელების წინააღმდეგ. ოტო ვილჰელმის-ძე უშუალო მონაწილეობას იღებდა 1905-1907 წლების რევოლუციაში, მეთაურობდა მუშათა წითელი გვარდიის რაზმს.

1908 წელს ო. ვ. კუუსინენი აირჩიეს ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ კომიტეტში. 1906-1908 წლებში იგი სოციალისტური უურნალის რედაქტორია, ხოლო 1907 წლიდან 1916 წლამდე რედაქტორობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ტიუუმიესს“ („მუშა“). ამ პერიოდში იგი არაერთხელ აურჩევიათ სეიმის დეპუტატად. მონაწილეობდა II ინტერნაციონალის კოპენჰაგენის (1910 წელი) და ბაზელის (1912 წელი) კონგრესების მუშაობაში. ბაზელის კონგრესზე მან ხმა მისცა რეზოლუციას, რომელიც მიმაროული იყო ომის საფრთხის წინააღმდეგ.

აქტიურად მონაწილეობდა რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში, ო. ვ. კუუსინენი 1917 წლის აგვისტოში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს შეხვდა ჰელსინგფორსში. ლენინის რჩევით მან ხელი შეუწყო ფინეთის სეიმში რუსეთის ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავებას. ოქტომბრის რევოლუციის დროს ო. ვ. კუუსინენი რევოლუციური ბრძოლის შუაგულში იყო.

1918 წლის იანვარში, როცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით ფინეთის მუშათა კლასმა შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო რეაქციული ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ, ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი იყო ფინეთის მუშათა რევოლუციის ხელმძღვანელებს შორის. იგი შევიდა რევოლუციური მთავრობის შემადგენლობაში, ეკავა განათლების სახალხო კომისრის პოსტი. ო. ვ. კუუსინენი ერთ-ერთი დამაარსებელია ფინეთის კომუნისტური პარტიისა, რომელიც 1918 წლის აგვისტოში შეიქმნა.

გამოჩენილი პროლეტარული რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტი ო. ვ. კუუსინენი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტიური მოღვაწე იყო. იგი მონაწილეობდა კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი, მესამე და ყველა მომდევნო კონგრესის მუშაობაში. ვ. ი. ლენინის დავალებით ოტო ვილჰელმის-ძემ კომინტერნის მესამე კონგრესისათვის შეადგინა ორგანიზაციულ საკითხზე თეზისების პროექტი, რომლებიც კონგრესმა მიიღო. იმ წლებში მან გამოაქვეყნა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომები სტრატეგიისა და ტაქტიკის, ორგანიზაციული მშენებლობის საკითხებზე, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს იმ დროს ახალგაზრდა კომუნისტური პარტიების იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ განმტკიცებაში. ო. ვ. კუუსინენის მოღვაწეობას კომინტერნში მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა.

კომინტერნის მესამე კონგრესზე ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი აირჩიეს კომინტერნის აღმასკომის წევრად. 1921-1939 წლებში, როცა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი და აღმასკომის ერთ-ერთი მდივანი იყო, იგი თანმიმდევრულად ახორციელებდა ლენინურ ხაზს, მთელ ძალ-ღონეს ახმარდა ყველა ქვეყნის კომუნისტთა ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლას. კომუნისტურ ინტერნაციონალში თავისი თვრამეტ წელზე მეტი ხნის ხელმძღვანელი მოღვაწეობის განმავლობაში ოტო ვილჰელმის-ძეს არაერთხელ გაუკეთებია კომინტერნის კონგრესებსა და პლენუმებზე მოხსენებანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ომის საშიშროების შესახებ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მის სახელთან მჭიდროდ დაკავშირებულია მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებისა და განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ეტაპები.

1940 წელს ო. ვ. კუუსინენი აირჩიეს კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. მან ბევრი ძალ-ღონე და შრომა მოახმარა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ოტო ვილჰელმის-ძე დიდ სახელმწიფოებრივ მუშაობას ეწეოდა.

1941 წლიდან ო. ვ. კუუსინენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია, ხოლო 1957 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად და ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ბოლო პოწლულში ო. ვ. კუუსინენი პარტიის სხვა ხელმძღვანელებთან ხელიხელჩაკიდებული შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და განვითარებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ლენინური კურსისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1957 წ.) პლენუმზე იგი მტკიცედ გამოვიდა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა დასაცავად, პიროვნების კულტის მეთოდებისა და წესების თავგამოდებულ დამცველთა ფრაქციული ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ. სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების ლენინური ხაზისათვის ო. ვ. კუუსინენი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თანმიმდევრულად იბრძოდა.

ოტო ვილჰელმის-ძის სახელი კარგად ცნობილია და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. მოძმე პარტიები დიდად აფასებენ მის თვალსაჩინო წვლილს მსოფლიო კომუნიზმის იმ პოლიტიკური ხაზის განმარტებასა და განხორციელებაში, რომელიც გამოხატულია 1957 წლის დეკლარაციასა და 1960 წლის განცხადებაში. ო. ვ. კუუსინენს თავის, როგორც მარქსისტ-ლენინელის, წმიდათა-წმიდა მოვალეობად მუდამ მიაჩნდა ის, რომ პრინციპულად ებრძოლა შემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ფრაქციონერებისა და გამთიშველების წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა რიგების ერთიანობის განმტკიცებისათვის. მისი — უხუცესი რევოლუციონერ-ლენინელის მრავალმხრივი გამოცდილება იყო და იქნება კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძვირფასი მონაპოვარი.

დიდად განათლებული მარქსისტი, გამოჩენილი თეორეტიკოსი და მეცნიერი, ო. ვ. კუუსინენი აქტიურად მონაწილეობდა მეცნიერული კომუნიზმის, რევოლუციური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის აქტუალური პრობლემების შემოქმედებითად დამუშავებაში. მისი მეცნიერული შრომები, მოხსენებები, სიტყვები, პუბლიცისტური გამოსვლები ინტერესებისა და ცოდნის მრავალმხრივობას მოწმობენ, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი, ცხოვრების პროცესებისადმი, რევოლუციური პრაქტიკის ანალიზისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშს წარმოადგენდნენ. იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს ო. ვ. კუუსინენის თვალსაჩინო დამსახურება, მიანიჭეს მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დააჯილდოვეს ლენინის ოთხი ორდენით.

ერთგული ლენინელის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის მთელი სიცოცხლე და მოღვაწეობა შთამაგონებელი მაგალითია თავდადებული ბრძოლისა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, კომუნიზმის საქმისათვის.

ლ. ბრეჟნევი
ბ. პონომარიოვი
ა. კირილენკო
ფ. კოზლოვი
ა. კოსიგინი
ა. მიჟოიანი
ნ. პოდგორნი
დ. პოლიანსკი
მ. სუსლოვი
ნ. ხრუშჩოვი
ნ. შვერნიკი
ვ. გრიშინი
ლ. ეფრემოვი
კ. მაზუროვი
ვ. მჟავანაძე
შ. რაშიდოვი
კ. შელესტი
ი. ანდროპოვი
კ. დემიჩევი
ლ. ილიჩოვი
ვ. პოლიაკოვი
ბ. პონომარიოვი
ა. რუდაკოვი
ვ. ტიტოვი
ა. შელეპინი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში

ვიმეორებით რა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ, მეგობარ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, დიდი მწუხარებით შევიტყეთ, რომ გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი მეგობარი და ახსნაგი ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი და უხუცესი მოღვაწე.

მთელი თავისი სიცოცხლე ოტო ვილჰელმის-ძემ მოახმარა მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლას.

იგი ჩვენს გულში დარჩება როგორც შესანიშნავი კომუნისტი, მტკიცე და ერთგული ლენინელი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მთელ თავის ძალებს, გონებას, ღრმა თეორიულ ცოდნას და მდიდარ გამოცდილებას ახმარდა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობას, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების საქმეს.

დიდ სამძიმარს გიცხადებთ თქვენ, ამხანაგებო, ოტო ვილჰელმის-ძის ოჯახს, მის მეგობრებსა და მახლობლებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი
ა. ა. გრომიკო
ა. ა. გრეჩკო
კ. ა. სატიუკოვი
ა. ი. აჯუბეი
მ. პ. გიორგაძე
ე. ნ. ალიხანოვი
ს. ა. სკაჩკოვი
კ. ს. ნეპოროჟნი
გ. ტ. შუისკი
ვ. ი. ეროფეევი
ნ. პ. ხრუშჩოვა

ბაირო, 1964 წლის 17 მაისი.

ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თქვენთან ერთად დიდად დამწუხრებულია იმის გამო, რომ გარდაიცვალა ო. ვ. კუუსინენი — ფინეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. ამხანაგ ო. ვ. კუუსინენის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ფინეთის კომუნისტური პარტიის ფინეთის ტყომპარტიის თავდადებული ბრძოლა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის. მთელი თავისი სიცოცხლე ამხანაგმა კუუსინენმა მოახმარა ჩვენს საერთო საქმეს — მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების გამარჯვებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, დიდი ლენინის ერთგული მოწაფის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის დაუღალავი მებრძოლის ამხანაგ ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის გარდაცვალების გამო. ეს მძიმე დანაკლისია ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების მარქსისტ-ლენინელებისათვის. ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის მთელი სიცოცხლე ხალხისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისადმი თავდადებული სამსახურის მკაფიო მაგალითი იყო.

საქართველოს კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა გულში სამუდამოდ დარჩება ერთგული ლენინელის, ხალხის ბედნიერებისათვის შეუდრეკელი მებრძოლის ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის ნათელი სხოვნა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

შეიქმნას ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ვ. პოდგორნი (თავმჯდომარე), ა. ნ. კოსიგინი, ვ. ვ. გრიშინი, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ი. ვ. პეოვე, ნ. გ. ეგორიჩევი, პ. ი. ვოეკოდინი, კ. პ. ჩერნიაევი.

ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიისაგან

მთავრობის კომისია იუწყება, რომ ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის ცხედარი დასვენებულია კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

განსვენებულთან გამოთხოვება დაიწყება 1964 წლის 18 მაისს. დარბაზი ღია 9 საათ და 30 წუთიდან 23 საათამდე.

დაკრძალვა მოხდება 19 მაისს წითელ მოედანზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მძიმე დანაკლისის გამო — დიდი ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, 1904 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სოციალისტური შრომის გმირის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის გარდაცვალების გამო.

მებრძოლი კომუნისტი ოტო ვილჰელმის-ძის მთელი შესანიშნავი სიცოცხლე მიეძღვნა ლენინის უკვდავი მოძღვრების განხორციელებას, მშრომელთა ინტერნაციონალურ შეკავშირებას, მშრომელი ხალხის განთავისუფლებას, პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლას.

ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის, შესანიშნავი ადამიანისა და კომუნისტის, თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურო

სამძიმარი ო. ვ. კუუსინენის გარდაცვალების გამო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, დიდი ლენინის ერთგული მოწაფის ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის გარდაცვალების გამო ამხანაგ კვლავ მოდის სამძიმრები.

სამძიმარს აცხადებენ:

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და მინისტრთა საბჭოები;

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტი;

სკკპ ლენინგრადის სამრეწველო და სასოფლო საოლქო კომიტეტები და საქალაქო კომიტეტი;

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო;

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი;

პარტიის კარელიის საოლქო კომიტეტი, კარელიის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია;

ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი;

ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის VII ყრილობა;

აკადემიური სოციალისტური კავშირი (ჰელსინკი);

ფინეთის პიონერთა დემოკრატიული კავშირი. (საკდესი).

სამედიცინო დასკვნა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენის ავადმყოფობის შესახებ

ამხანაგი ო. ვ. კუუსინენი დაავადებული იყო ღვიძლის პირველადი კიბოთი. ბოლო დროს ავადმყოფობა პროგრესიულად განვითარდა და გართულდა მძიმე სისხლდენით, რაც გარდაცვალების უშუალო მიზეზი გახდა.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები პროფესორები:

ა. ე. ლუკომსკი
ვ. ხ. ვასილენკო
ე. მ. ტარეევი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები

პროფესორი ა. ი. სტრუკოვი
პროფესორი ვ. ს. მაპიატი

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მე-4 მთავარი სამმართველოს სპეციალიზებული მთავარი ექიმი

მ. ს. ხუტორნენკო.

1964 წლის 17 მაისი.

სამწუხარო ცნობა

ჰელსინკი, 17 მაისი (საკდესი). ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის VII ყრილობის დელეგატებმა დიდი მწუხარებით შეიტყვეს, რომ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი. ყრილობის დელეგატებმა მდუმარედ მოუსმინეს ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ვილე პესსს, რომელმაც მათ მოაგონა ო. ვ. კუუსინენის მიერ განვლილი სახელოვანი ცხოვრების გზა. ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის წარგზავნილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ო. ვ. კუუსინენის ხსოვნას.

ყრილობაზე დამსწრე უცხოეთის დელეგაციათა სახელით ბულგარეთის სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს მთავარმა მდივანმა ვ. ბონევმა თანაგრძნობა გამოთქვა ო. ვ. კუუსინენის გარდაცვალების გამო. მან დაახასიათა ო. ვ. კუუსინენი როგორც ლენინის ერთგული მოწაფე, ხალხის ბედნიერებისათვის გამოჩენილი მებრძოლი.

ო. ვ. კუუსინენის კუბოსთან

საბჭოთა ადამიანებში დიდი გულისტკივილი გამოიწვია სამწუხარო ცნობამ: გარდაიცვალა ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უხუცესი წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დიდი ლენინის ერთგული მოწაფე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე.

18 მაისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე იწყება განსვენებულთან გამოთხოვება. კუბოსთან პირველ საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი.

ათასობით მშრომელი დილიდანვე მოვიდა სვეტებიან დარბაზში.

ყოველ სამ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. სამგლოვიარო ვახტზე დგანან მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირისა და ჯავშების ვეტერანთა მარშლები, ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეები.

შემოაქვთ გვირგვინი, რომელიც გამოგზავნა ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიისა, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო ო. ვ. კუუსინენი. დარბაზში იმყოფება ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ლარს იუნტილა. აქვე არის ოტო ვილჰელმის-ძის ქალიშვილი ჰერტა კუუსინენი, ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის ვიცე-თავმჯდომარე, ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე, რომელიც ჰელსინკიდან ჩამოვიდა. კუბოსთან დგას ო. ვ. კუუსინენის ოჯახი. (საკდესი).

ძმობისა და მეგობრობის შესანიშნავი ძეგლი

დიდი ზეიმი ასუანში

ასუანი, 16 მაისი (საკდესის სპეც. კორ.). ნილოსის მაღალ ნაპირზე მრგვალი შენობაა აღმართული. შენობაში ასუანის ჰიდროკვანძის მაკეტი დგას. ყოველი ადამიანი, რომელიც მშენებლობაზე ჩამოდის, ათვალიერებს მაკეტს, ეცნობა სქემებსა და დიაგრამებს.

არაბებმა ახალი მექა უწოდეს ასუანს. ამ უკანასკნელ ოთხი წლის მანძილზე აქ დიად მშენებლობაზე დაახლოებით 3 მილიონ კაცი იყო, ამდენივე კაცი ეწვია ამ პატარა შენობასაც.

აქ ჩამოვიდნენ პრეზიდენტი ნასერი და ნ. ს. ხრუშჩოვი, აგრეთვე ა. ბენ ბელა და ა. არეფი. მათ ათასობით ადამიანი მიესალმა.

გიისმის ქვემეხების ზალპები, ცას ასხივოსნებს ფეიერვერკერის კაშკაშა შუქი, გრიალებს ტაში. პრეზიდენტი ნასერი და ნ. ს. ხრუშჩოვი საბერაის ხსნიან. შეკრებილთა თვალწინ დგას მემორიალური დოფა. ზედ ამოკვეთილია: „დაიდგა 1964 წლის 16 მაისის დღეს, ასუანის ჰიდროკვანძის მშენებლობის პირველი რიგის დამთავრების აღსანიშნავად“.

პრეზიდენტი ნასერი ხელს ართმევს ნ. ს. ხრუშჩოვს. შემდეგ კორტეჟი, რომელშიც სამეფო სტუმრები სხედან, გზას მიიკვლევს ზღვა ხალხში და მაღლივი კაშხლისაკენ მიემართება. კაშხალზე შესასვლელთან კორტეჟი ჩერდება. გამალ აბდელ ნასერი და ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი, აგრეთვე მათთანმხლები სტუმრები მანქანიდან გადმოდიან. ჭრიან წითელ ლენტს და ნილოსის მარჯვენა ნაპირიდან მარცხნაზე გადადიან. ცას ანათებს ნაირფერადი შუშტენები, გემები და ავტომობილები სტუმრებს საყვირების გუგუნით მიესალმებიან. ყველანი ერთად იძახიან: „ნასერი, ხრუშჩოვი!“.

მარცხენა ნაპირზე მცირე ხნით შესვენების შემდეგ პრეზიდენტი ნასერი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ბენ ბელა და ა. არეფი ქალაქის სტადიონისაკენ მიემართებიან.

20 საათსა და 15 წუთზე სამეფო სტუმრები ქალაქის სტადიონზე მივიდნენ. ათიოდ ათასობით ადამიანი მიესალმება პრეზიდენტ ნასერსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

იწყება მიტინგი. თავის შესავალ სიტყვაში ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის საქმეთა მინისტრი სიდკი სოლიმანი ულოცავს ყველას ასუანის ჰიდროკვანძის მშენებლობის პირველი რიგის დამთავრებას.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ალეირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამედ ბენ ბელამ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა, ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აბდელ სალიამ არეფმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა. მიტინგის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის მკაფიო და შინაარსიანი სიტყვა.

ასუანის გუბერნატორმა მადკურ აბუ ელ-ეზმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვს, პრეზიდენტ ნასერსა და სხვა სამეფო სტუმრებს. გუბერნატორმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ქალაქ ასუანის ოქროს გასაღები და ხაზი გაუსვა, რომ ეს საჩუქარი ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის მოსაგონარი იქნება. ასეთივე გასაღებები გადაეცათ პრეზიდენტ ნასერს, აგრეთვე ა. ბენ ბელას, ა. არეფს, მარშალ ამერსა და ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის საქმეთა მინისტრს სიდკი სოლიმანს.

სიტყვას ამბობს ახალი წყალსაცავით დაფარულ რაიონიდან გადასახლებულ ნუბიელთა წარმომადგენელი გენერალი ანვარ ბაჰა ედ-დინი. ნუბიელმა გოგონებმა სტუმრებს ვენერლის სინები გადასცეს. სიტყვას ამბობს მშენებლობის ერთერთი ხელმძღვანელი ინჟინერი ტაჰა ზაკი. 32 ათას არაბი მუშის, ტექნიკოსისა და ინჟინრის სახელით მან საჩუქრები მიართვა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს. ნიკიტა სერგის ძემ საჩუქრები მიიღო და აგრეთვე არაბთა სოციალისტური კავშირის ასუანის ჰიდროკვანძის ორგანიზაციის მდივნისაგან. შემდეგ კვლავ ამბობს სიტყვას ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის საქმეთა მინისტრი სიდკი სოლიმანი.

მიტინგის დროს გაიმართა ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლებისათვის ეგვიპტისა და საბჭოთა კავშირის ორდენების და მედლების გადაცემის ცერემონია.

ამედ ბენ ბელას, გამალ აბდელ ნასერის, არეფისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ამედ ბენ ბელამ** არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხსა და მთავრობას მიულოცა ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრება, რაც, ხაზგასმით აღნიშნა მან, დიადი გამარჯვებაა. ჩვენ, თქვა ბენ ბელამ, ჩამოვედით, რათა თქვენთან, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მფლ ხალხთან ერთად გავიზიაროთ ეს დიდი სიხარული, გამარჯვებისა და სანუკვარი მიზნის მიღწევის სიხარული. ბენ ბელამ აღნიშნა, რომ ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისთვის, არამედ აგრეთვე ყველა არაბული ქვეყნისათვის. ბენ ბელამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ალეირის ხალხი მჭიდრო დაკავშირებულია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ალეირულ პატრიოტებს კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. უაღრესად გულთბილად ილაპარაკა ბენ ბელამ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი გულწრფელ და უანგარო დახმარებას უწევს არაბთა ქვეყნებსა და განვითარების ბაზე მდგომ სხვა ქვეყნებს. ასეთი დახმარებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის მკაფიო მაგალითია, განაცხადა მან, თანამშრომლობა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის და ასუანის მაღლივი კაშხალის აგება.

მე მსურს, განაგრძო ბენ ბელამ, გადოვაქვა ჩემი უღრმესი და უსაზღვრო პატივისცემა საბჭოთა კავშირისადმი — დიადი ქვეყნისადმი, ვის მეგობრობასაც ჩვენ, არაბები, განსაკუთრებით ვაფასებთ.

დასასრულ ბენ ბელამ მადლობა გადუხადა საბჭოთა კავშირსა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს.

თავის გამოსვლაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა **გამალ აბდელ ნასერმა** ილაპარაკა ასუანის ჰიდროკვანძის მშენებელთა სასახელო საქმეებზე, მშენებლობის ისტორიაზე, იმაზე, თუ როგორ თქვეს უარი დასავლეთის ქვეყნებმა დაფინანსებინათ მაღლივი კაშხალის მშენებლობა, ცდილობდნენ რა ზეგავლენა მოეხდინათ ეგვიპტეზე, აიძულებინათ იგი ხელი აეღო დამოუკიდებელი სხვარეო პოლიტიკის განხორციელებაზე. პრეზიდენტმა ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასუანის მაღლივ კაშხალს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ეგვიპტელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი შვილები და შვილიშვილები, თქვა მან, მიმართა რა მაღლივ კაშხალის მშენებლებს, იამაყებენ. თქვენი გმირული საქმეებით.

პრეზიდენტმა ნასერმა გაიხსენა, რომ როცა ეგვიპტემ, დასავლეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგობის რომ წააწყდა, დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირმა დაუყოვნებლივ გაუწია ასეთი დახმარება. საბჭოთა კავშირი, თქვა პრეზიდენტმა ნასერმა, არა „მარტო დაგვეხმარა მაღლივი კაშხალის აგებაში, იგი დაგვეხმარა დაგვეცვა ჩვენი ღირსება და თავმოყვარეობა.

პრეზიდენტი ნასერი ულრმეს მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის ხალხსა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს უანგარო, ფად მიდიოდნენ წინ ახალი ცხოვრების

აჰმედ ბენ ბელას, გამალ აბდელ ნასერის, არეფისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები

16 მაისს საზეიმო მიტინგზე ასუანში

კეთილშობილური დახმარებისათვის, რომელიც ვალდებულებით არ არის განპირობებული და რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა.

ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **აბდელ სალამ არეფმა** თავისი გამოსვლა დაიწყო არაბთა ნაციონალიზმისა და არაბთა ერთიანობის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ ერაყის რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ძალიან ენატრებათ ალეირელ ძმებთან ერთად ბრძოლა. ალეირის ხალხი მჭიდროდ დაკავშირებულია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ალეირულ პატრიოტებს კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. უაღრესად გულთბილად ილაპარაკა ბენ ბელამ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი გულწრფელ და უანგარო დახმარებას უწევს არაბთა ქვეყნებსა და განვითარების ბაზე მდგომ სხვა ქვეყნებს. ასეთი დახმარებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის მკაფიო მაგალითია, განაცხადა მან, თანამშრომლობა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის და ასუანის მაღლივი კაშხალის აგება.

მე მსურს, განაგრძო ბენ ბელამ, გადოვაქვა ჩემი უღრმესი და უსაზღვრო პატივისცემა საბჭოთა კავშირისადმი — დიადი ქვეყნისადმი, ვის მეგობრობასაც ჩვენ, არაბები, განსაკუთრებით ვაფასებთ.

დასასრულ ბენ ბელამ მადლობა გადუხადა საბჭოთა კავშირსა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს.

თავის გამოსვლაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა **გამალ აბდელ ნასერმა** ილაპარაკა ასუანის ჰიდროკვანძის მშენებელთა სასახელო საქმეებზე, მშენებლობის ისტორიაზე, იმაზე, თუ როგორ თქვეს უარი დასავლეთის ქვეყნებმა დაფინანსებინათ მაღლივი კაშხალის მშენებლობა, ცდილობდნენ რა ზეგავლენა მოეხდინათ ეგვიპტეზე, აიძულებინათ იგი ხელი აეღო დამოუკიდებელი სხვარეო პოლიტიკის განხორციელებაზე. პრეზიდენტმა ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასუანის მაღლივ კაშხალს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ეგვიპტელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი შვილები და შვილიშვილები, თქვა მან, მიმართა რა მაღლივ კაშხალის მშენებლებს, იამაყებენ. თქვენი გმირული საქმეებით.

პრეზიდენტმა ნასერმა გაიხსენა, რომ როცა ეგვიპტემ, დასავლეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგობის რომ წააწყდა, დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირმა დაუყოვნებლივ გაუწია ასეთი დახმარება. საბჭოთა კავშირი, თქვა პრეზიდენტმა ნასერმა, არა „მარტო დაგვეხმარა მაღლივი კაშხალის აგებაში, იგი დაგვეხმარა დაგვეცვა ჩვენი ღირსება და თავმოყვარეობა.

პრეზიდენტი ნასერი ულრმეს მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის ხალხსა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს.

16 მაისს საზეიმო მიტინგზე ასუანში

მშენებლობაში. ეს ღენინური ფილოსოფიაა, ეს ღენინური პოლიტიკაა! ამ პოლიტიკამ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. იგი გაიმარჯვებს სხვა ქვეყნებშიც! ჩვენ მუდამ ვუჭეოდით ძმარს და დავუჭერთ მხარს ხალხთა სამართლიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალისტებსა და კოლონიალისტებს წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი. ამ აზრით ვუჭერთ მხარს არაბთა ერთიანობას, რომელიც აერთიანებს ყველა არაბს მათს წმინდა ბრძოლაში უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, ყველა მისი ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგ. მე, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, უკვე 70 წელი ვიცხოვრე ამ ქვეყნად, მიმუშავია რუსი, გერმანელი, ბელგიელი, ფრანგი კაპიტალისტებისათვის — ისინი ერთიმეორეზე უკეთესი როდი არიან. ამიტომ ჩემთვის, რუსისათვის, არაბი მუშა ძმაა; ჩემთვის, რუსისათვის, არაბი გლეხი — ფელაჰი ძმაა; ჩემთვის, რუსისათვის, რუსი მემამულე და კაპიტალისტი, არაბი მემამულე და კაპიტალისტი მტერია!

აქ სწორად ამბობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს ისე, რომ ოთხმე პოლიტიკურ პირობას არ აკისრებს. მაგრამ გულახდილად ვიტყვი, რომ ჩვენ უფრო სიამოვნებით ვუწევდეთ დახმარებას ქვეყნებს, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დგებიან.

აი რა მინდოდა მეთქვა ოქვენთვის არაბული ნაციონალიზმისა და მშრომელ ადამიანთა ერთიანობის შესახებ. ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი პოზიცია ამ საკითხში. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ გამოთქვამს თვალსაზრისს როგორც საბჭოთა ხალხის წარმომადგენელი და მოუწოდებს ყველა მშრომელ არაბს, ყველა მშრომელ ადამიანს ძმურად დგარ ერთიანდნენ იმპერიალისტების წინააღმდეგ, ექსპლოატატორების, კოლონიზატორების წინააღმდეგ, მონოპოლიების წინააღმდეგ, შრომის გამარჯვებისთვის.

მე დღეს კაშხალზე მძლავრ თვითსაცლელებთან, ამბობს შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი, დიდი სიამოვნებით ჩამოვართვი ხელი არაბ მშოფრებსა და რუს შოფრებს, რომლებიც ერთმანეთის გვერდით იდგნენ, როგორც ძმები. ეს არის მშრომელ ადამიანთა მეგობრობისა და ძმობის სიმბოლო.

ერთი სიტყვით, ლოზუნგი „არაბებო, გაერთიანდით!“, როგორც ჩანს, უნდა დაზუსტდეს. არაბი მუშები, არაბი გლეხები, არაბი ინტელიგენტები — ყველა მშრომელი ადამიანი უნდა გაერთიანდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის, თავიანთი უფლებებისათვის, ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი გაერთიანების დროს აღმოჩნდება ადგილი ყველა იმათთვის, ვინც ცხოვრობს საკუთარი შრომით, ვინც იბრძვის ხალხის თავისუფლებისათვის, უკეთესი ცხოვრებისა და ბედნიერებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რაც მშრომელმა არაბმა ხალხმა, მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა განახორციელეს ასუანის დიად მშენებლობაზე.

ასუანის კაშხალი, ხატოვნად რომ ვთქვათ, დიდი „ნაღმია“ იმპერიალისტური პოლიტიკის ასაფეთქებლად, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის შენარჩუნების გეგმების ასაფეთქებლად.

წაიკითხეთ ეს დრო, როცა იმპერიალისტებს შეეძლოთ ეკარნახათ თავიანთი პირობები მსოფლიოს ხალხებისათვის, ამბობს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. ახლა მსოფლიოშია ორი ძირითადი სისტემა — კაპიტალისტური და სოციალისტური. სოციალიზმი ფართო ფრონტით უტევს კაპიტალისტურ სამყაროს. სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ ახლა არა ნაკლებ, არამედ უფრო ძლიერი ვართ, ვიდრე იმპერიალისტური სახელმწიფოები.

უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, კიდევ უფრო შეიცვალა ძალთა თანაფარდობა მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების სასარგებლოდ. მაგრამ სწორი არ იქნებოდა ჯეროვნად არ შეგეფასებინა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ძალები, მათ აქვთ კაპიტალები, ჰყავთ არმიები, მათ სურთ დათრგუნონ ხალხები, რომლებიც კოლონიური ჩაგვრისაგან თავისუფლდებიან.

ამ სახელმწიფოების წარმომადგენელნი, გულახდილად რომ ვთქვათ, პრეზიდენტ ნასერზეც ახდენდნენ ზეგავლენას. უკარნახებდნენ თავიანთ კაბალურ პირობებს, როცა ეგვიპტის მთავრობა ცდილობდა გამოეხახა საშუალებანი ასუანის მაღლივი კაშხალის ასაგებად, განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა.

როცა ეგვიპტის სახელმწიფოს მთავრობამ და მეთაურმა ნასერმა უარყვეს იმპერიალისტთა კაბალური პირობები, მონოპოლიებმა უარი უთხრეს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას კრედიტზე ასუანის კაშხალის მშენებლობისათვის.

საბჭოთა კავშირმა დახმარების ხელი გაუწოდა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკის ხალხს. ეს იყო ძმური დახმარება.

და აი ამ გიგანტური მშენებლობის პირველი რიგი დამთავრებულია!

ეს, ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგი ხრუშჩოვი, ცხადყოფს, რომ ჩვენ ძლიერი ვართ არა მარტო სამხედრო დარგში, არამედ ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგშიც. სოციალიზმი ახლა ბევრ დარგში აჯობებს კაპიტალიზმს.

ასუანის კაშხალის მშენებლობა ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის გამოვლინებაა. თუმცა ჩვენ არაბები არა ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ უფრო ანლოს ვართ თქვენს მშრომელ ხალხთან, ვიდრე ის არაბები, რომლებიც ეკსპლოატაციას უწევენ არაბებს.

ვამთავრებ რა ჩემს გამოსვლას, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, მინდა კვლავ ვთქვა, რომ ჩვენ თქვენთან ერთად განვიცდიდ უდიდეს სიხარულს, შრომის გამარჯვების სიხარულს. გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, ახალი საყაროსათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის ხალხები არაბ ხალხთან და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად, მათ მხარდამხარ იქნებიან თავისუფლებისათვის, იმპერიალისტთა, ექსპლოატატორთა ბატონობის წინააღმდეგ, შრომის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი საბჭოთა მთავრობის სახელით, საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით ულოცავს პრეზიდენტ ნასერს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას, აგრეთვე მშრომელ არაბებს, რომლებიც ასუანის მაღლივ კაშხალზე და სხვა ადგილებში შრომობენ და საერთო საქმეს აკეთებენ — ავითარებენ და განამტკიცებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიკას.

ᲞᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲚᲣᲥᲡᲝᲠᲨᲘ

ლუქსორი, 17 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეზიდენტ ნასერის, აგრეთვე პრეზიდენტების ბენ ბელასა და არეფის თანხლებით დაათვალიერა ლუქსორში უძველესი ეგვიპტის განთქმული დედაქალაქის — ასუშკრანი თებეს ტაძრები და სასახლეები. ისინი უკვე სამნახევარი ათასი წელია დგანან, მაგრამ დღემდე აოცებენ ადამიანებს თავიანთი სიდიადითა და ბრწყინვალებით.

არასოდეს არ მორთულა ეს უძველესი ქალაქი ასე ლამაზად, სადღესასწაულოდ, როგორც დღეს. დილის 7 საათისათვის ლუქსორის მთელი მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა, რათა მისალმებოდა საპატიო სტუმრებს, აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ ნასერს შეხვდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ინფორმაციის, კულტურისა და ეროვნული ხელმძღვანელობის საკითხებში ა. კ. ჰატეში, კენის გუბერნატორი მუჰამედ აბდალა გუბარა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

კარნაკის ტაძრისა და ფარაონთა აკლდამების დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი ნასერი, პრეზიდენტები ბენ ბელა და არეფი, რომლებსაც გზის გაყოლებით შეკრებილი ათასობით ადამიანი მიესალმებოდა, კაიროში გაფრინდნენ.

კაირო, 17 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). 18 საათსა და 35 წუთზე თვითმფრინავი „ილ-18“, რომელზეც იყვნენ ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტები ნასერი, ბენ ბელა და არეფი, კაიროს აეროდრომზე დაეშვა. კვლავ, ისევე როგორც სტუმართმოყვარე ეგვიპტეში ყოფნის პირველ დღეს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქში აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს.

ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

ასუანი. 18 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ დილით ასუანში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარემ პ. ს. ნეპოროჟნიმ ორდენები და მედლები გადასცეს ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობაზე მომუშავე საბჭოთა და არაბ სპეციალისტთა დიდ ჯგუფს, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან წარმატებებისათვის ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობაში.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ მ. პ. გიორგაძემ და პ. ს. ნეპოროჟნიმ გულთბილად მიულოცეს დაჯილდოებულთ.

საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის მეორე კონფერენციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის მეორე კონფერენციის მონაწილეებს და მათი სახით ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის ყველა მუშაკს.

პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით ფიზკულტურამ და სპორტმა ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო განვითარებას მიაღწია და ხალხის ფართო მასების ნამდვილი კუთვნილება გახდა. საბჭოთა სპორტსმენები ამ მზრუნველობას უპასუხებენ ახალი გამარჯვებებით საერთაშორისო შეჯიბრებებში. დიდი და ღირსშესანიშნავი წარმატებები აქვთ საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს, და მათ შორის საქართველოს სპორტსმენებს.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები ყველა ღონისძიებით უნდა იბრძოდნენ ხალხის ყოფაცხოვრებაში ფიზკულტურის ფართოდ დანერგვისათვის, გამუდმებით სრულყოფდნენ სპორტულ ოსტატობას, ამაღლებდნენ სპორტსმენთა შორის იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის დონეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უსურვებს საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის მეორე კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას არ დაიშურებენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის მეორე რესპუბლიკური კონფერენცია

18 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის მეორე რესპუბლიკური კონფერენცია.

შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ვ. სიხარულიძემ. აირჩიეს კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოები — პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია და სამდივნო.

შეკრებილებმა კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში მჭუხარე ტაშით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის მეორე რესპუბლიკური კონფერენციისადმი.

საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს საანგარიშო მოხსენება მოისმინა ნ. ს. ბაბალიანიძემ. დიდი და ღირსშესანიშნავი წარმატებები აქვთ საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს, და მათ შორის საქართველოს სპორტსმენებს.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები ამ ღონისძიებებს ატარებენ ფიზიკურ აღზრდისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის, ამაღლებენ სპორტულ ოსტატობას, ამზადებენ ახალ ჩემპიონებს, ეხმარებიან ეროვნულ-ეროვნული ხელმძღვანელობის ორგანოებს ეროვნული ეკონომიკის,

გავზარდოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის ზ. გელდიაშვილის ანგარიში საოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მსვლელობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ გვიანი გაზაფხულის მიუხედავად, წელს მინდვრის სამუშაოები და დამზადება უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე 1963 წელს. 10 მაისისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურების თესვა გეგმა 65.6 პროცენტით შეასრულეს. დათესილია 29 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს. გადაჯარბებით არის შესრულებული შაქრის ჭარხლისა და მზესუმზრას თესვის გეგმა. შემოდგომაზამთრის პერიოდში დიდი მუშაობაა გაწეული ჩაის პლანტაციების, ვენახების, ხეხილის ბაღებისა და სხვა ნარგავთა დამუშავებისათვის. გადაჯარბებით შესრულდა ტრაქტორების რემონტის გეგმა. ცუდი კლიმატური პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ორგანიზებულად გამოაზამთრეს პირუტყვი. გადაჯარბებით სრულდება ხორცის შესყიდვის გეგმა: 10 მაისისათვის ნახევარი წლის დავალება 80,4 პროცენტით შესრულდა. მნიშვნელოვანი გადაჯარბებით შესრულდა დაფნის ფოთლის (141,1 პროცენტი). საყოფაცენ ნედლეულის (102,6 პროცენტი) დამზადების გეგმა. შარშანდელთან შედარებით ჩაბარებულია 369 ტონით მეტი უხეში ჩაის ფოთოლი.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმალური ვადები ამოწურა, ჩამორჩება საგაზაფხულო თავთავიანთა კულტურების, კარტოფილისა და საკვები კულტურების თესვა, ნელი ტემპით რგავენ თამბაქოსა და ბოსტნეულს, ეს უწინარეს ყოვლისა ეხება აფხაზეთის, აჭარის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, მახარაძისა და ახალქალაქის საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მთელ რიგ მეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად ამუშავებენ და მაკრნალობენ ვენახებსა და ბაღებს. ჯერ კიდევ არის ისეთი მეურნეობები, სადაც ცუდი მოვლისა და კვების გაშიადგილი აქვს პირუტყვის სიკვდილიანობას. ამით აიხსნება საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირება ყვარლის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, ცაგერის საწარმოო სამმართველოებში, აგრეთვე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

რამდენადმე გაიზარდა ხორცის წარმოება, მაგრამ შემცირდა რძისა და კვერცხის წარმოება. 1 მაისისათვის საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 229 კილოგრამი რძე. მაშინ როცა შარშან ამ დროს მიღებული იყო 285 კილოგრამი. რძის დამზადება ჩამორჩება თელავის, ყვარლის, საგარეჯოს, დუშეთის, ცაგერის, ახალქალაქის საწარმოო სამმართველოების მეურნეობებსა და სამხრეთ ოსეთში. კვერცხის დამზადების მხრივ ჩამორჩენილი არიან გარდაბნის რაიონისა და აფხაზეთის საბჭოთა მეურნეობები. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბოსტნეულის სახელმწიფო შესყიდვა.

გადაჯარბებით შესრულდა ტრაქტორების რემონტის გეგმა, მაგრამ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მარცვლეულის კომბაინების რემონტი, განსაკუთრებით ყვარლის, გურჯაანის, საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონებში, სადაც თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება სხვა რაიონებთან შედარებით უფრო ადრე იწყება. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე სასილოსე კომბაინებისა და თივის ასაღები მანქანების რემონტი.

ჯერ კიდევ არის მინერალური სასუქებისადმი უყაირათო დამოკიდებულების შემთხვევები. სიღნაღის, საგარეჯოს, გორის, ხაშურის, ორჯონიკიძისა და გუდაუთის საწარმოო სამმართველოების მეურნეობებს დროზე არ გააქვთ „საქსოფლტექნიკის“ საწყობებიდან მინერალური სასუქები. ცუდად ინახავენ სასუქებს და ამით აუარესებენ ხარისხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ჩამორჩენა შედეგია არა მარტო წლევანდელი გაზაფხულის აცივნის არახელსაყრელი პირობებისა, არამედ მნიშვნელოვანწილად პარტიული კომიტეტების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საწარმოო სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა სუსტი ორგანიზატორული მუშაობისაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო კომიტეტებსა და საწარმოო სამმართველოების პარტიულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საწარმოო სამმართველოებს მეურნეობებს დროზე არ გააქვთ „საქსოფლტექნიკის“ საწყობებიდან მინერალური სასუქები. ცუდად ინახავენ სასუქებს და ამით აუარესებენ ხარისხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ჩამორჩენა შედეგია არა მარტო წლევანდელი გაზაფხულის აცივნის არახელსაყრელი პირობებისა, არამედ მნიშვნელოვანწილად პარტიული კომიტეტების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საწარმოო სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა სუსტი ორგანიზატორული მუშაობისაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო კომიტეტებსა და საწარმოო სამმართველოების პარტიულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საწარმოო სამმართველოებს მეურნეობების პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საწარმოო სამმართველოებს, ყველა ძალისხმევა მიმართონ ადგილობრივი რეზერვების, აგრეთვე საწყობებისა და ტრანსპორტის რემონტის დამთავრებისათვის, ყველა მეურნეობაში უზრუნველყონ სანიშნეში მომზადება მოსავლის აღებისათვის.

სახოფლო პარტიული კომიტეტები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, საწარმოო სამმართველოები, სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტები ვალდებულნი არიან განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საზოგადოებრივი პირუტყვის მოვლისა და შენახვის ძირეული გაუმჯობესებისათვის, სიკვდილიანობის ლიკვიდაციისათვის და ნამატის სრული შენარჩუნებისათვის. რძის წარმოებასა და დამზადებაში ჩამორჩენის დასაძლევად უნდა გაუმჯობესდეს ძროხების მოვლა და კვება, ფართოდ გამოიყენებულ იქნას მწვანე საკვები. უნდა უზრუნველყოთ ზამთრის სამყოფრებიდან ზაფხულის საძოვრებზე პირუტყვის ორგანიზებულად გადარეკვა.

საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტები და საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის, ამაღლონ კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი საზოგადოებრივ წარმოებაში და სოფლის ყველა მშრომელი აქტიურად ჩაებან მუშაობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის. (საქდესი).

მანქანის სიკეთე

• აი რას გვაძლევს კომპლექსური მექანიზაცია •

საკავშირო ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა საბრძოლო ამოცანად დასახა: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართოდ გამოყენების, მორწყვის განვითარების, კომპლექსური მექანიზაციის, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე.

ქვემოთ ვბეჭდავთ სოფლის მეურნეობის წარმოებაში ტექნიკის ფართოდ დანერგვის საკითხზე ინგირის (ზუგდიდის რაიონი) ჩაის საცდელი საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის მუშაობის გამოცდილებას.

ვედიზარ ინგირის ჩაის საცდელ-საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკაში და თვალს იტაცებს ბავერდოვანი ჩაის თვალწარმტაცი ბალანტაციები. უცქერით ამ კოხტა, თანაბრად შეკრეჭილ ბუჩქებს და ტკბებთ, თითქოს თქვეს ჩინაშია ნიჭიერი მხატვრის ნაწარმოები...

შეიდწლიანი მეხუთე წლის მაისი იყო. როგორც იქნა გამიდარა. მზეა სითბო მოემატა, თბილი დღეები დაიჭირა, ნორჩმა ფუყებმაც სითბო იგრძეს და სწრაფად იწყეს ზრდა. ლოლა არღვლიანს, კლარა დავითიანს, გიორგი ყურუას, პეტაგია კოვალიოვას, სერგო ლოლუას, გურამ შედანიას, ილია შუალიას და სხვებს სიხარული უნათებდათ სახეს. დღემდე მათთვის ჩაის ფოთლის კრეფის „იარაღი“ საკუთარი ხელები იყო. ამ „იარაღით“ თვითეული მათგანი ყოველწლიურად სამ ათას—ოთხ ათას კილოგრამზე მეტ ფოთოლს ვერ კრეფდა. ერთი კილოგრამი ჩაი ათასობით ორფოთლიან ფუყს შეიცავს. აბა დაფიქრდით, რამდენი მილიონი ფუყი უნდა მოეკრიფა მათს ხელებს. მაგრამ ახლა ისინი ფოთოლს საკუთარი ხელით როი მოკრეფენ. მათ ხომ ამისათვის უნდა გამოიყენონ ფოლადის თითები—საკრეფი მანქანა „საქართველო“? სწორედ ამაზე ოცნებობდნენ მექანიზატორები.

დადგა ოცნების პრაქტიკულად განხორციელების დროც. აგუგუნდნენ ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა-კომბაინები. პლანტაციებში დაცურავდნენ ვეებერთელა გედები და ფრაქადის თითებით სათუთად კრეფდნენ ნორჩ ფუყებს. განუწყვეტლივ და სწრაფად ივსებოდა მანქანის ფართო ბუნკერები.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი დამთავრდა. მეურნეობა-ფაბრიკას შვიდწლედის მეხუთე წელს სრულმოსავლიანი 495 ჰექტარზე უნდა მოეკრიფა 1.900 ტონა „მწვანე ოქრო“, ფაქტიურად მოკრიფა 2.502 ტონა, აქედან მანქანებით—1.047 ტონა ჩაის ნედლეული. მეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 5.055 კილოგრამი ფოთოლი, ხოლო კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ვ. ნაყოფია ხელმძღვანელობს, 26,3 ჰექტარი პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 7.695 კილოგრამი. და ასეთი ფაქტები ბევრია.

ვინ ჩამოთვლის ჩაის საკრეფი მანქანის სიკეთეს. დღეში ერთი მანქანით იკრიფებოდა 1.300-2.000 კილოგრამი და უფრო მეტი „მწვანე ოქრო“. ეს მაშინ, როცა ხელით ერთი კაცი ძლიგს კრეფს 40-100 კილოგრამ ფოთოლს. ინგირელმა მექანიკოსებმა მოკლე ვადაში — ერთ წელიწადში მანქანის გამოყენებინო საგრძნობლად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება. ეს კარგია. მაგრამ როცა ინგირის ჩაის საცდელ მეურნეობა-ფაბრიკის კოლექტივში გულდასმით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების მასალებს, დარწმუნდნენ, რომ მეურნეობაში ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები. ამიტომ საჭიროდ ცნეს კარგად აეწონ-დაეწონათ მეურნეობის მუშაკთა მატერიალური სტიმულირების შესაძლებლობანი და განესაზღვრათ უხვი მოსავლის მიღებისათვის, პროდუქციის

სურათზე: 1. (მარცხნიდან) ინგირის ჩაის საცდელი საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ს. ებრალიძე, მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი ა. შულაია და კომპლექსური მექანიზაციის რგოლის ხელმძღვანელი ლ. არღვლიანი; 2. კომპლექსური მექანიზაციის რგოლის ხელმძღვანელი ცნობილი მექანიზატორი ი. შულაია ჩაის პლანტაციაში სასხლავი მანქანით მუშაობის დროს. (სურათი გადაღებულია მარტში).

ფოტო ბ. სოკოლოვისა.



ფართოდ დანერგოთ ტექნიკა სოფლის მეურნეობის წარმოებაში!

აი რას გვაძლევს კომპლექსური მექანიზაციის რგოლი? იმას, რომ ეს იწვევს სამუშაოს მაღალხარისხოვნად შესრულებას და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას. ახლა მეურნეობაში 407 ჰექტარ პლანტაციას უვლის მხოლოდ 192 მუშა და 36 მექანიზატორი—სულ 228 კაცი. კომპლექსური მექანიზაციის რგოლების შექმნამდე ამ პლანტაციებს მოვლა-დამუშავებასა და ფოთლის კრეფაზე საჭირო იყო 1.628 კაცი.

მაგალითად, თუ მეურნეობაში ერთ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ხელით კრეფის დროს მთელ სეზონზე დასაქმებული იყო საშუალოდ ორი მუშა, ახლა კომპლექსური მექანიზაციის რგოლებზე მიმაგრებულ 407 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში დასაქმებულია 228 მუშა, საშუალოდ ჰექტარზე—0,55 მუშა, ე. ი. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 363 პროცენტით.

თუ ერთი ტონა ჩაის წარმოებაზე 1963 წელს დაიხარჯა 318 მანეთი ხელფასის ფონდი, კომპლექსური მექანიზაციის რგოლების ჩამოყალიბების შემდეგ დაიხარჯება 242 მანეთი, ე. ი. სხვაობა შეადგენს 76 მანეთს, სულ მთელ ფართობზე 1.506,7 ტონის მოკრეფაზე გვაძლევს 99.442 მანეთ ხელფასის ფონდის ეკონომიას. ხოლო ამას თუ მივუმატებთ გამოთავისუფლებული მუშახელის შემოყვანის, ტრანსპორტისა და

ჰექტარი ჩაის პლანტაცია. საერთო დანიშნულების ზოგიერთი მანქანები მიმაგრებული კი არ არის რგოლზე, ამავედ დროებით, ერთი წლით გამოიყოფა მეურნეობაში არსებული მანქანების რიცხვიდან. ეს სასხლავი, სასუქის შესატანი, ნიადაგის დასამუშავებელი, საფრქვევი და სასხურებელი მანქანებია. ეს არის აგრეთვე ტრანსპორტი ჩაის ფოთლის მოსავლის გადაზიდვის პერიოდში, „მწვანე ოქრის“ საკრეფი მანქანა და სხვ. ერთი სიტყვით, რგოლის წევრები ვალდებული არიან პლანტაციებში ყველა სამუშაო მანქანებით შეასრულონ ხელის შრომის გამოუყენებლად.

კომპლექსური მექანიზაციის რგოლების ხელმძღვანელებად შერჩეული არიან გამოცდილი მექანიზატორები. მათთვის შედგენილია ტექნოლოგიური რუკები, სადაც გათვალისწინებულია ჩაის ფოთლის მიღებისათვის აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, საწარმოო დავალება პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით და განსაზღვრულია რგოლის წევრებზე დასახარჯი ხელფასის როოდენობა.

მეურნეობის ადმინისტრაციასა და რგოლის წევრებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, მეურნეობის დირექცია ვალდებულია ყველა რგოლი უზრუნველყოს აუცილებელი ტექნიკით, სატრანსპორტო საშუალებით. სასუქებით, შხამმასალებით, სათადარიგო ნაწილებით, საწვავი საცხებით, ერთი სიტყვით რგოლს შეუქმნეს ყველა პირობა ჩაის უხვი მოსავლის მიღებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

კომპლექსური მექანიზაციის რგოლების შექმნამ მეურნეობის წინაშე მწვავედ დააყენა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხი. რგოლის წევრების შრომის ანაზღაურება წარმოდგენილ იქნა ადმინისტრაციის ბრძანებით თვითეული 100 მანეთით წარმოების ფონდიდან.

რგოლის წევრებთან საბოლოო ანგარიში მთავრდება არაუგვიანეს სამეურნეო წლის 25 დეკემბრისა, რგოლის წევრებთან საბოლოო ანგარიშსწორების საბუთად ითვლება სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების ქვითარი.

რას გვაძლევს კომპლექსური მექანიზაციის რგოლი? იმას, რომ ეს იწვევს სამუშაოს მაღალხარისხოვნად შესრულებას და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას. ახლა მეურნეობაში 407 ჰექტარ პლანტაციას უვლის მხოლოდ 192 მუშა და 36 მექანიზატორი—სულ 228 კაცი. კომპლექსური მექანიზაციის რგოლების შექმნამდე ამ პლანტაციებს მოვლა-დამუშავებასა და ფოთლის კრეფაზე საჭირო იყო 1.628 კაცი.

მაგალითად, თუ მეურნეობაში ერთ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ხელით კრეფის დროს მთელ სეზონზე დასაქმებული იყო საშუალოდ ორი მუშა, ახლა კომპლექსური მექანიზაციის რგოლებზე მიმაგრებულ 407 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში დასაქმებულია 228 მუშა, საშუალოდ ჰექტარზე—0,55 მუშა, ე. ი. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 363 პროცენტით.

თუ ერთი ტონა ჩაის წარმოებაზე 1963 წელს დაიხარჯა 318 მანეთი ხელფასის ფონდი, კომპლექსური მექანიზაციის რგოლების ჩამოყალიბების შემდეგ დაიხარჯება 242 მანეთი, ე. ი. სხვაობა შეადგენს 76 მანეთს, სულ მთელ ფართობზე 1.506,7 ტონის მოკრეფაზე გვაძლევს 99.442 მანეთ ხელფასის ფონდის ეკონომიას. ხოლო ამას თუ მივუმატებთ გამოთავისუფლებული მუშახელის შემოყვანის, ტრანსპორტისა და სპეცტანსამსოსის ხარჯებს, სულ გვაძლევს 119.252 მანეთ ეკონომიას.

მეურნეობაში ხელფასის ფონდის ეკონომიასთან ერთად იზრდება ერთი მუშის გამომუშავება. მაგალითად, აკიღოთ გიორგი ყურუას რგოლი, რომელიც 1963 წელს აწარმოებდა ჩაის ფოთლის კრეფას მანქანებით. თუ იმავე ფართობზე იმავე მოსავლიანობის დროს შარშანდელი ანაზღაურების მიხედვით 11.693 მანეთი უწევდა, ახალი ანაზღაურებისას უწევს 13.399 მანეთი, სხვაობა შეადგენს 1.706 მანეთს, ე. ი. რგოლის ერთმა წევრმა შარშანდელი მონაცემებით მიიღო 1.948 მანეთი, ხოლო 1964 წელს გეგმის 100 პროცენტით შესრულების შემთხვევაში მიიღებს 2.233 მანეთს, ანუ წელიწადში 285 მანეთით მეტს.

აკიღოთ სერგო აფხაზავას რგოლი. 1963 წლის მონაცემებით მან მიიღო 10.628 მანეთი, ხოლო 1964 წელს მიიღებს 13.609 მანეთს. რგოლის თვითეულმა წევრმა 1963 წლის მონაცემებით მიიღო 1.771 მანეთი, 1964 წელს კი მიიღებს 2.268 მანეთს, ე. ი. 497 მანეთით მეტს. 1963 წლის მონაცემებით ლოლა არღვლიანის რგოლს დაერიცხა 6.960 მანეთი, ხოლო შრომის ანაზღაურების ახალი წესით მიიღებს 7.540 მანეთს, ანუ 580 მანეთით მეტს, ვიდრე 1963 წელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა კომპლექსური მექანიზაციის რგოლების შექმნამ გამოიწვია შრომის პირობების შემსუბუქება, კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მუშების შემოსავლის გადიდება. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მეურნეობის ბევრ-მა შტატის მუშამ სურვილი გამოთქვა წასულიყო კომპლექსური მექანიზაციის რგოლებში ფიზიკურ სამუშაოზე. მაგალითად, რაისა ბეზდიკომ, დუნია იაკოველვამ და სხვებმა დირექციაში შეიტანეს განცხადება და ითხოვეს გაეგზავნათ ისინი სამუშაოდ კომპლექსური მექანიზაციის რგოლში. მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

დიდი ხანი არ არის, რაც მეურნეობაში შეიქმნა კომპლექსური მექანიზაციის რგოლები და უკვე ნათლად ჩანს მათი დიდი სიკეთე. შეიძლება ითქვას, ამან მთლიანად მოსპო სამუშაოს გაცდენისა და სამუშაოზე დაგვიანების შემთხვევები. თუ გასული წლის სამი თვის განმავლობაში მეურნეობაში გაცდენილ იქნა 570 კაც-დღე, წელს გაცდენები აღარ ყოფილა.

კომპლექსური მექანიზაციის რგოლებში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. თუ 1963 წლის პირველი აპრილისათვის დამზადებული იყო 153 ტონა უხეში ფოთოლი, 1964 წელს პირველი აპრილისათვის დამზადებულია 205 ტონა, ე. ი. 52 ტონით მეტი, ვიდრე 1963 წელს. ასევე თუ 1963 წელს პირველი აპრილისათვის საყოფაცენ მასალა შეგროვებული იყო 240,6 ტონა, წელს იმავე დროისათვის შეგროვებულია 353,7 ტონა, ე. ი. 113,1 ტონით მეტი.

თუ 1963 წლის პირველი აპრილისათვის გასხლული იყო 12,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 1964 წლის პირველი აპრილისათვის გასხლულია 402 ჰექტარი. ასევე ზუსტად. დირექციის მიერ დამტკიცებული ტექნოლოგიური რუკების თანახმად, მაღალხარისხოვნად ხორციელდება ყველა აგროტექნიკური ღონისძიებანი.

კომპლექსური მექანიზაციის რგოლში მუშაობა დამყარებულია ურთიერთ ნდობასა და პატივისცემაზე, უდისციპლინო წევრების წინააღმდეგ ზომებს

ᲒᲐᲛᲐᲥᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

• ᲐᲘ ᲠᲐᲡ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ •

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲡᲝᲤᲝᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ორ დღეს სტუმრად იყო ინგლისის მიწათმოქმედების, თევზჭერისა და სურსათის მინისტერი ქრისტოფერ სოუმსი. იგი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრს ზ. გელდიაშვილს. საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. ქოქბელიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მიქელაძემ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, თავმჯდომარემ ი. ხოხლოვამ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილემ ბ. ფალავანდიშვილმა, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ხომიზურაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ა. ჭირაქაძემ, შეეხნენ ფართო წრის საკითხებს. ინგლისელმა სტუმარმა გამოთქვა სურვილი გაესინჯოდა საქართველოს ეკონომიკასა და კულტურას. საუბარი ძირითადად შეეხო სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებს.

ბ-ნ სოუმსს უკვე ჰქონდა წარმოდგენა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაზე. წინა დღით, მეუღლესთან და თანამხლებ პირებთან ერთად იგი იყო კახეთში — რესპუბლიკის მევენახეობის უდიდეს ცენტრში. იქ ბ-ნი სოუმსი შეხვდა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, გურჯაანის ღვინის ქარხნის მუშაკებს. სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობაში ბ-ნი სოუმსი გაეცნო ამ მეურნეობის საქმიანობას, კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებას, მათ ყოფა-ცხოვრებას, როცა ინგლისელმა სტუმარმა შეიტყო, რომ კოლმეურნეობის მთელი ფულადი შემოსავლის 80 პროცენტს მევენახეობა იძლევა, მან გამოთქვა აზრი, რომ მიზანშეწონილია მეურნეობის ვიწრო სპეციალიზაცია. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. იაშვილმა მას უთხრა, რომ კოლმეურნეობამ უარი თქვა ზოგიერთ მცირემოსავლიან კულტურაზე და უახლოეს წლებში ვენახების ფართობს 1500 ჰექტარამდე გაზრდის, ე. ი. ერთიორად გაადიდებს.

ადმინისტრაციული შენობის აივანზე, საიდანაც იშლება ალაზნის ველის დიდებული პანორამა, კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები, კოლმეურნეობამ სადილი გამართა სტუმრების პატივსაცემად.

ინგლისიდან ჩამოსული სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიმის სასწავლო მეურნეობაში.

მოსკოვში გაფრენის წინ ბ-მა სოუმსმა საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გაუზიარა საქდესის კორესპონდენტს.

„მევენახეობის სპეციალისტი არ გახლავარ, რადგან ჩვენი ქვეყნის პირობებში მევენახეობას არ ვცდილობენ, მაგრამ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-30“

18 ᲛᲐᲘᲡᲡ საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-30“ მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 90,24 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 383,1 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 206,6 კილომეტრი; ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 64 გრადუსი და 56 მინუტია.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,996 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის მონაცემების დედამიწაზე გადასაცემად.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲖᲝᲜᲓᲘ-1“

14 ᲛᲐᲘᲡᲡ ავტომატური სადგურის „ზონდი-1“-ის ფრენის პროგრამის შესაბამისად მოეწყო ასტროორიენტაციის მეორე სეანსი, როცა სადგური 13 მილიონი კილომეტრით იყო დაშორებული დედამიწას.

ამ სეანსის დროს დედამიწიდან რადიობრძანებით ასტროორიენტაციის სისტემამ სადგური გათვალისწინებულ მდგომარეობაში დააყენა, ხოლო სპეციალურმა მმართველმა მამოძრავებელმა დანადგარმა სადგურს მისცა დამატებითი სიჩქარე დაახლოებით 50 მეტრი წამში.

გაზომვათა შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ მოძრაობის ასტროორიენტაციისა და კოსმოსური სივრცის პირობებში და შესაძლებლობას გვაძლევენ გადავუყვეთოთ ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ავტომატური კოსმოსური აპარატების მოძრაობის ტრაექტორიის ზუსტ კორექციასთან.

18 მაისის 18 საათისათვის მოსკოვის დროით ავტომატურ სადგურს „ზონდი-1“-ს ჰქონდა შემდეგი კოორდინატები: პირდაპირი აღმავლობა — 5 საათი და 28 წუთი, დახრილობა მინუს 2 გრადუსი და 40 მინუტი.

ავტომატური სადგურის დაკვირვება და იქიდან ინფორმაციის მიღება გრძელდება.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ორ დღეს იყვნენ დიდი ბრიტანეთის მეცნიერული კინოს თვალსაჩინო მოღვაწეები: მეცნიერული კინოს საერთაშორისო ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი ედგარ ენსტეი, ბრიტანეთის მეცნიერული კინოს ასოციაციის პრეზიდენტი არტურ ელტონი და ინგლისის ტელევიზიის კინორეჟისორი ჯონ რიდი. საბჭოთა კინემატოგრაფისტთა სტუმრები მონაწილეობენ ინგლისური მეცნიერული ფილმების კვირეულში, რომელიც სსრ კავშირში მიმდინარეობს. ბრიტანეთის კინომოღვაწეებმა თბილისში უჩვენეს მთელი რიგი ინგლისური დოკუმენტური და მულტიპლიკაციური ფილმები, რომლებმაც ქართველი მაყურებლისა და სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

საქართველოში ყოფნის დროს სტუმრებმა დათვალიერეს თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა, იყვნენ კახეთში.

გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა მათი შეხვედრა ქართველ კოლეგებთან თბილისის ქრონიკულ-დოკუმენტურ მეცნიერულ-პოპულარული ფილმების სტუდიაში.

ინგლისელმა კინორეჟისორებმა ნახეს 6 კინოფილმი. ედგარ ენსტეის განსაკუთრებით მოეწონა ო. იოსელიანის კინოფილმი „სამოვნელა“, რომელშიც მოთხრობილია ქართველ მებაღე დეკორატორ მიხეილ მამულაშვილზე. სტუმრებმა აღნიშნეს ა. სემიონოვის კარგი ოპერატორული მუშაობა ფილმში „სვეტიცხოველი“.

საბჭოთა კინოხელოვნების პროპაგანდის ბიუროს საქართველოს განყოფილებამ მოაწყო ლექციები „ინგლისის მეცნიერული კინო“, რომელზედაც ბრიტანეთის რეჟისორებმა ილუსტ

საბჭოთა პარლამენტარების დელეგაცია იაპონიაში

ტოკიო, 16 მაისი. (საკდესი). იაპონიაში თავისი ყოფნის მესამე დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ეწვია ძველი რუსული ხელოვნების გამოფენას, რომელიც აქ ერთ თვეზე მეტი ხანია გაიხსნა. დელეგაციის წევრები იყვნენ აგრეთვე იაპონიის ეროვნულ მუზეუმში, სადაც დიდი ინტერესით დათვალიერეს იაპონიის ისტორიული განძეული.

გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას „იაპონია-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოებაში. „კაძან კაიკანის“ დარბაზში შეიკრიბნენ იაპონიის თვალსაჩინო მოღვაწეები. დელეგაციას მიესალმნენ „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ს. მაცუმოტო, იაპონიის სოციალისტური პარტიის მრჩეველი მ. სუძუკი, პროფკავშირთა გენერალური საბჭოს თავმჯდომარე ოტა და სხვები.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. მიკოიანმა, უპასუხა რა მისალმებებზე, მოუწოდა „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების ყველა წევრს მიუხედავად იმისა, თუ რა შეხედულებები აქვთ, განამტკიცონ იაპონისა და სსრ კავშირის ურთიერთობა.

დარბაზობის დროს ა. ი. მიკოიანმა წარმოთქვა ეგრეთვე ვრცელი სიტყვა.

ისინი 14 მილიონს შეადგენენ

ლონდონი, 18 მაისი (საკდესი). მარცხდება სადამსჯელო ოპერაციები, რაც კონგოს რეაქციულმა წრეებმა დაიწყეს პატრის ლუმუმბასა და ანტუან გიზენგას მომდევართა წინააღმდეგ, რომლებიც შეიარაღებული ბრძოლისათვის აღსდგნენ კვლუსა და კივუს პროვინციებში.

აჯანყებულთა წარმატებით მოქმედების შედეგად, კონგოს ეროვნული არმიის რჩეული ბატალიონები, რომლებიც ამ ოიონებში გაიგზავნენ, იძულებული არიან ზედიზედ დათმონ პოზიციები.

ახლა, განაცხადა ამას წინათ კონგოს ხალხის რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენელმა, 14 მილიონს შეადგენენ ისეთნი, როგორიც ლუმუმბა და გიზენგა იყვნენ, და ვერავითარი ძალა ვერ შეუშლის ხელს ჩვენს ბრძოლას.

გაიზარდა სწავლის ქირა

ოტავა. (საკდესი). ახალი სასწავლო წლიდან კანადის ბევრ უნივერსიტეტში 10–15 პროცენტით გაიზრდება სწავლის ქირა, ეს ნიშნავს, რომ სტუდენტებმა ყოველწლიურად დამატებით უნდა შეიტანონ სწავლისათვის 50–70 დოლარი.

ბრიტანეთის კოლუმბიასა და სასკჩევანში გაიმართა სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაციები სწავლის ქირის მომატების წინააღმდეგ.

ჯილდო მამაცობისათვის

კოპენჰაგენი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბისლევი იტყობინებს: ეს მოხდა 1945 წლის აპრილში. დანიელმა მღვდელმა ვიგო ლინდუმმა და მისმა ცოლმა ლილიანმა იუტლანდიის ქალაქ რანდერსის მახლობლად თავიანთ სახლში დამალეს ფაშისტური ტყვეობიდან გაქცეული საბჭოთა ოფიცერი. რამდენიმე კვირას იცხოვრა პასტორთან ლეიტენანტმა ივანე ჩუმბაევმა, საიმედოდ დაფარულმა ჰიტლერელებისაგან.

როცა გერმანიის ჯარებმა იარაღი დაყარეს და ომი დამთავრდა, ივანე ჩუმბაევი სამშობლოში დაბრუნდა.

15 მაისს ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ოფიცრის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვა დანიელი მოქალაქენი ვიგო ლინდუმი და ლილიან ლინდუმი მედლებით „მამაცობისათვის“.

„უმაღლესი საბჭოს ჯილდო ჩემთვის დიდი მოულოდნელობაა, — უთხრა ვიგო ლინდუმმა საკდესის კორესპონდენტს. — ჩემთვის მეტად სასიამოვნოა იმის შეტყობა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო საქმეში შეტანილი ჩვენი მცირედი წვლილი საბჭოთა კავშირის საბრძოლო მედლით აღინიშნა.

დანიელები აქტიურად მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის მოძრაობაში გერმანელთა ოკუპაციის დროს. ბევრი ეხმარებოდა ტყვეობიდან გაქცეულ საბჭოთა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ამიტომ ჩვენი დაჯილდოება მომაჩნია ყველა დანიელის დაჯილდოებად, რომლებიც იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ.

მინდა აგრეთვე ვისარგებლო შემთხვევით, რათა მთელ საბჭოთა ხალხს დიდი მადლობა ვუძღვნა იმისათვის, რომ გაგვათავისუფლა მეორე მსოფლიო ომის წლებში“.

ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი განთავისუფლებულია

პრაღა, 18 მაისი. (საკდესი). გაათავისუფლეს ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საagენტოს მუდმივი კორესპონდენტი ბრაზილიაში მიროსლავ შტრაფელდი, რომელიც უკანონოდ დააპატიმრეს ბრაზილიის ხელისუფლებმა 15 მაისს, იუწყება რიო-დე-ჟანეიროდან ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საagენტოს კორესპონდენტი.

კაიროს წინადადება

კაირო, 18 მაისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენა წინადადება მოწვეულ იქნეს არაბთა ქვეყნების ლიგის საბჭოს საგანგებო სხდომა, რათა განიხილონ საკითხი არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი რაიონების მოსახლეობის წინააღმდეგ ინგლისის აგრესიული მოქმედების შესახებ.

შემთხვევები, ტრაგედია

☐ ვულკანი ეტნის სამხრეთ ფერდობზე 16 მაისს კვლავ წამოვიდა ცეცხლის მდინარე. ლავის გიგანტური ნაკადის სიგრძე უკვე 5 კილომეტრია.

☐ ბირმის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში კოკისპირული წვიმები მოვიდა. ცენტრალური ბირმის ზოგიერთი სოფელი დაიტბორა. ძლიერმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვია აგრეთვე პიხჩაუნდის რაიონში, ბირმის ნავთობის ცენტრის — ქალაქ ენანჯუანის მახლობლად. კოკისპირული წვიმები მოვიდა აგრეთვე რანგუნში, მანდალასა და ბირმის სხვა რაიონებში.

☐ 15 მაისს საღამოს ანტვერპენის ნავმისადგომში დიდი ხანძარი გაჩნდა, რომელიც გამოიწვია ოფეთქებამ ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში. მთელ ღამეს ებრძოდნენ მეხანძრენი ცეცხლს და მხოლოდ გამთენიას ჩაქრეს იგი.

☐ 16 მაისს მოძრაობა შეწყდა შვეიცის ძირითად რკინიგზის მაგისტრალზე, რომელიც აკავშირებს სტოკჰოლმს ამ ქვეყნის სამხრეთ რაიონებთან. ამ მაგისტრალზე ერთმანეთს დაეჯახა ორი სატვირთო მატარებელი. დაჯახების ადგილას რელსები დაფარულია დანგრეული ვაგონების ნამსხვრევებით. მოსამსახურე პერსონალიდან არავინ არ დაშავებულა.

☐ იაპონიის პატარა კუნძულ რისირიზე მებადურთა დაბის 300 სახლიდან 240 სახლი მოსპო ხანძარმა. ხანძრის შედეგად დაზარალდა 1.600 კაცი. (საკდესი).

სურათზე: საქართველოს სპორტული საზოგადოებისა და ორგანიზაციების კავშირის მეორე კონფერენციის დელეგატთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — ე. გოგოლაძე, ე. ინასარიძე, ნ. კოლოსოვა, ო. ქორქია, ე. გოკიელი, გ. გობეჯიშვილი, ბ. ეორეულიანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საბჭოთა ფილმების წარმატება

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მილიონამდე მოქალაქემ ნახა საბჭოთა ფილმები აქ გამართული კინოფესტივალის დროს. ფესტივალზე ნაჩვენები კინოფილმების დიალაზონი ძალიან ფართოა: უჩვენეს კინოფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინიც“, რომელიც ოციან წლებშია გადაღებული და ახლანდელი კინოფილმიც „ყველაფერი ადამიანებს ჰქონიათ“.

მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კინემატოგრაფისტთა დელეგაციას. მოეწყო დელეგაციის წევრების მეგობრული შეხვედრები ბერლინის, ლაიფციგისა და მაგდებურგის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებთან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოს მუშაკებთან.

საბჭოთა ფილმების ფესტივალმა, განაცხადა კინოსტუდია „დეფას“ დირექტორმა იოაჰიმ მიოკენბერგერმა, ხელი შეუწყო ჩვენ ხალხებს შორის ძმური მეგობრობის განმტკიცებას. ამ ფესტივალს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტებს შორის შემოქმედებითი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ საბჭოთა კინოს მუშაკებისაგან და ვცდილობთ რაც შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ მათი გამოცდილება. (საკდესი).

თურქეთი არჩევნებისათვის ემზადება

ანკარა, 18 მაისი (საკდესი). 7 ივნისს თურქეთში მოეწყობა სენატის (თურქეთის პარლამენტის ზედა პალატა) ნაწილობრივი არჩევნები. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული პარლამენტის არჩევნების დებულების შესაბამისად გაანახლდება ამ პალატის დეპუტატთა მესამედი.

საბჭოთა ფილმების წარმატება

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მილიონამდე მოქალაქემ ნახა საბჭოთა ფილმები აქ გამართული კინოფესტივალის დროს. ფესტივალზე ნაჩვენები კინოფილმების დიალაზონი ძალიან ფართოა: უჩვენეს კინოფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინიც“, რომელიც ოციან წლებშია გადაღებული და ახლანდელი კინოფილმიც „ყველაფერი ადამიანებს ჰქონიათ“.

მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კინემატოგრაფისტთა დელეგაციას. მოეწყო დელეგაციის წევრების მეგობრული შეხვედრები ბერლინის, ლაიფციგისა და მაგდებურგის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებთან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოს მუშაკებთან.

საბჭოთა ფილმების ფესტივალმა, განაცხადა კინოსტუდია „დეფას“ დირექტორმა იოაჰიმ მიოკენბერგერმა, ხელი შეუწყო ჩვენ ხალხებს შორის ძმური მეგობრობის განმტკიცებას. ამ ფესტივალს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტებს შორის შემოქმედებითი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ საბჭოთა კინოს მუშაკებისაგან და ვცდილობთ რაც შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ მათი გამოცდილება. (საკდესი).

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

პარიზი, 16 მაისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე მოხსენება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ გააკეთა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟორჟ მარშემ.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ახალი წესდების პროექტს, რომელიც ყრილობის დღეგანაგებზე წარედგინათ, თითქმის სამი თვის მანძილზე განიხილავდნენ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში. პროექტი ყველგან მოიწონეს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ამჟამად მოქმედი წესდება, თქვა ჟ. მარშემ, მიღებულია 1945 წელს. მას შემდეგ პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. პარტიის წინაშე დადგა ახალი ამოცანები. საჭიროა გახდა პარტიის პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის უფრო მაღალ დონეზე აყვანა. ახალი წესდების პროექტში მეტი ყურადღება, ვიდრე უწინ, ექცევა დემოკრატიას საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შინაგან ცხოვრებაში. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა: ერთი მხრივ, საჭიროა პარტიაში აღმოვფხვრათ ყოველგვარი დოგმატიზმი, მეორე მხრივ — დაგამწყვიტი ბრძოლა ვაწარმოოთ რევიზიონიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

წესდების პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დემოკრატიული ცენტრალიზმის საკითხებს, რომელიც „პარტიის შინაგანი ცხოვრების ძირითადი პრინციპია“.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგმა კომუნისტებმა გადაჭრით დაგმეს ჩინეთის ხელმძღვანელთა სექტანტური და ავანტიურისტული პოზიციები. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა აზრით, თქვა მარშემ, პარტიული ორგანიზაციის მდივანი უნდა იყოს „რაზმის მეთაური“, ხოლო თითოეული პირველი მდივანი — „უმაღლესი უფროსი“. ამრიგად, ჩინეთის ხელმძღვანელები, როგორც ჩანს, პარტიის წევრებს მიიჩნევენ უბრალო ჯარისკაცებად, რომლებიც ასრულებენ ზემოდან გაცემულ ბრძანებებს. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ პარტიის ამ სამხედრო კონცეფციას.

მარშემ აღნიშნა, რომ წესდების პროექტს არ შეაქვს არსებითი ცვლილებანი პარტიის სტრუქტურაში. ზოგიერთი ეროვნულ ორგანიზაციის უფლებებს.

ამიერიდან პარტიის საგანგებო ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნეს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, აგრეთვე ფედერაციათა უმრავლესობის მოთხოვნით. სექციებისა და ფედერაციების კომიტეტებს, აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტს დღეიდან აირჩევენ არა ღია, არამედ ფარული კენჭისყრით. ახალი წესდება ითვალისწინებს, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციას მიენიჭოს უფლება დაასახელონ კანდიდატები უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოში. მათ წინადადებებს განიხილავს კანდიდატურათა კომისია, რომელსაც ირჩევენ კონფერენციაზე ან ყრილობაზე.

ჩვენ გულწრფელად გვახარებს წარმატებები, რომლებიც XVI ყრილობის შემდეგ მოიპოვა პარტიამ, მისი რიგების განმტკიცება, თქვა დასასრულ ჟორჟ მარშემ. ეს მოწმობს, რომ სწორია პარტიის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხისა და ერის ინტერესების დაცვას.

30 მაისს მოგებათა ტირაჟი

დონეცი. როსტოვში 30 მაისს გაიმართება სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მილიარდიანი სესხის მოგებათა მორიგი, 99-ე ტირაჟი.

როგორც სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის, მთავარ სამმართველოში საკ. დესის კორესპონდენტს აცნობეს, მოსალოდნელია, რომ სესხის ობლიგაციებით მოგება ყოველი ტირაჟის კვალობაზე გაიზრდება. საქმე ის არის, რომ მოგებათა რაოდენობა სესხის ვადის ბოლომდე უცვლელი რჩება, ხოლო მოგებული ობლიგაციები შემდგომ ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა შემდეგი — მე-100 ძირითადი ტირაჟი გაიმართება 30 ივლისს თბილისში. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი განთავისუფლებულია

პრაღა, 18 მაისი. (საკდესი). გაათავისუფლეს ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საagენტოს მუდმივი კორესპონდენტი ბრაზილიაში მიროსლავ შტრაფელდი, რომელიც უკანონოდ დააპატიმრეს ბრაზილიის ხელისუფლებმა 15 მაისს, იუწყება რიო-დე-ჟანეიროდან ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საagენტოს კორესპონდენტი.

კაიროს წინადადება

კაირო, 18 მაისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენა წინადადება მოწვეულ იქნეს არაბთა ქვეყნების ლიგის საბჭოს საგანგებო სხდომა, რათა განიხილონ საკითხი არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი რაიონების მოსახლეობის წინააღმდეგ ინგლისის აგრესიული მოქმედების შესახებ.

შემთხვევები, ტრაგედია

☐ ვულკანი ეტნის სამხრეთ ფერდობზე 16 მაისს კვლავ წამოვიდა ცეცხლის მდინარე. ლავის გიგანტური ნაკადის სიგრძე უკვე 5 კილომეტრია.

☐ ბირმის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში კოკისპირული წვიმები მოვიდა. ცენტრალური ბირმის ზოგიერთი სოფელი დაიტბორა. ძლიერმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვია აგრეთვე პიხჩაუნდის რაიონში, ბირმის ნავთობის ცენტრის — ქალაქ ენანჯუანის მახლობლად. კოკისპირული წვიმები მოვიდა აგრეთვე რანგუნში, მანდალასა და ბირმის სხვა რაიონებში.

☐ 15 მაისს საღამოს ანტვერპენის ნავმისადგომში დიდი ხანძარი გაჩნდა, რომელიც გამოიწვია ოფეთქებამ ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში. მთელ ღამეს ებრძოდნენ მეხანძრენი ცეცხლს და მხოლოდ გამთენიას ჩაქრეს იგი.

☐ 16 მაისს მოძრაობა შეწყდა შვეიცის ძირითად რკინიგზის მაგისტრალზე, რომელიც აკავშირებს სტოკჰოლმს ამ ქვეყნის სამხრეთ რაიონებთან. ამ მაგისტრალზე ერთმანეთს დაეჯახა ორი სატვირთო მატარებელი. დაჯახების ადგილას რელსები დაფარულია დანგრეული ვაგონების ნამსხვრევებით. მოსამსახურე პერსონალიდან არავინ არ დაშავებულა.

☐ იაპონიის პატარა კუნძულ რისირიზე მებადურთა დაბის 300 სახლიდან 240 სახლი მოსპო ხანძარმა. ხანძრის შედეგად დაზარალდა 1.600 კაცი. (საკდესი).

ბირუნის ჰიპოთეზა

კოლუმბის აღმოჩენამდე 450 წლით ადრე

ესპანელი კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენამდე 450 წლით ადრე შუაეროელმა მეცნიერმა-ენციკლოპედისტმა აბუ-რაიჰან ბირუნიმ, რომელიც XI საუკუნეში ცხოვრობდა, დაბეჯითებით იწინასწარმეტყველა ამ კონტინენტის არსებობა. ეს ჰიპოთეზა ბირუნიმ გამოთქვა თავის შრომაში „ინდოეთი“.

„ჩვენი გამოკვლევით, — წერდა იგი, — მიგვაჩნია, რომ დედამიწის აღმოსავლეთი ნახევარსფეროს ორი ჩრდილოეთი მეოთხედიდან ერთი ხმელეთია. ამ მიზეზით ვგულისხმობთ, რომ დიამეტრალურად მოპირდაპირე მეოთხედიც აგრეთვე, შესაძლოა, ხმელეთი იყოს“.

ამ დასავლეთ მიწებს იმიტომ არ ვიცნობთ, განმარტავს ბირუნი, რომ იქ „ზღვით წასვლა შეუძლებელია, რადგან ჰაერი მშფოთვარეა, წყლის სივრცე უზარმაზარია და უკან დაბრუნების შესაძლებლობა საეჭვოა“.

აზრს ამერიკის არსებობის შესახებ იგი დაეფინებით უბრუნდება თავის ისეთ შრომებში, როგორც არის „მასუდის კანონი“ და „ატ თაჰდიდი“.

„არა არის რა ისეთი, რაც იმის საწინააღმდეგოდ მოწმობდეს, რომ არსებობს დასახლებული მიწები მსოფლიოს აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ნაწილებში, — წერს იგი თხზულება „ატ-თაჰდიდში“. — ამას ხელს ვერ შეუშლის ვერც სანშინი სიცივე, ვერც სანინელი სიცხე... ამიტომ სავალდებულოდ კია, რომ არსებობდეს ყოველმხრივ წყლით გარემოცული რომელიღაც სავარაუდო ვრცელი მიწები მსოფლიოს იმ რაიონების ფარგლებს გარეთ, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია“.

მეცნიერების ისტორიისათვის ცნობილი არ არის, რომ იმ დროში ვინმეს ასე დაეფინებით და მრავალჯერ გამოთქვას ვარაუდი ამერიკის მატერიკის არსებობის შესახებ. იტალიელ ტოსკანელის მიერ XV საუკუნეში შედგენილ მსოფლიოს რუკაზე, რომელიც ყველაზე ავტორიტეტული იყო, ევროპასა და აზიას შუა გადაჭიმულია მხოლოდ თვალუწვდენი და უდაბური ატლანტის ოკეანე.

იცოდნენ თუ არა ესპანელმა მეზღვაურებმა, რომლებმაც XV საუკუნის დამლევს აღმოაჩინეს ამერიკა, ბირუნის გენიალური ვარაუდი? დაეხმარა თუ არა მათ შუაზაღელი მეცნიერი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით არ შეიძლება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ესპანელები და პორტუგალიელები, რომლებიც XV საუკუნემდე არაბთა გამგებლობაში იყვნენ, გულდასმით სწავლობდნენ აღმოსავლეთელ მეცნიერთა შრომებს, რადგან იმ დროს არაბული მეცნიერება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე იყო. ისეთი განთქმული მეცნიერის თხზულებანი, როგორიც ბირუნი იყო, იმდროინდელი ესპანეთის ბევრ ბიბლიოთეკაში ინახებოდა.

ამ და სხვა კითხვებზე პასუხს ეძებს ამჟამად ტაშკენტის უნივერსიტეტის პროფესორი გეოგრაფი და ისტორიკოსი ჰამიდულა ბასანოვი, რომელიც განაგრძობს კვლევას ამ მიმართულებით. იქნებ ჭეშმარიტების დადგენა შეძლოს ცნობილმა ინდოლოგმა მეცნიერმა, ჰაიდარაბადელმა საიდ ჰასან ბარანიმ რომელიც აგრეთვე მუშაობს ბირუნის გენიალური ჰიპოთეზის შესწავლაზე.

ვ. ტრუბნიკოვი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრი

19 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კარმენი (მე-9 აბონ. მე-10 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის დიდი დრამა — ადამიანი იბადება ერთხელ (22-ე აბონ. მე-5 წარმოდგენა), გრიბოედოვის სახელობის — ადამიანი ეარსკვლავებიდან (1-ლი აბონ. მე-9 წარმოდგენა), მოზარდ მაყურებელთა ქართული — მისი მეგობრები (აბონ. № 50, 7 ს.), თოჯინების ქართული — ყველაფერი თავდაყირა (11 ს.), სიცოცხლის ყვავილი (2 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — სომხეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

კინო

19 მაისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, კოლხიდა (საზაფხულო), ყაზბეგი (პირველი დარბაზი), გაზაფხული, კოსმოსი — ეშმაკი და ათი მცნება, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), სპარტაკი, საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — მამაკაცები გუშინ, დღეს და..., თბილისი — განგსტერები და ფილანთროპები, კომკავშირელი — ამალამ ქალაქი დაიღუპება, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა, საქართველო (მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი, კოლხიდა (საზამთრო)—მოჯამაგირე ქალი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — ჩეკას თანამშრომლები, კოლმეურნე — ალლოიანი, თანამგზავრი — ასე ქმნიან კინლლერებს, კიროვის სახელობის პარკი — ევას ეძინება, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), სპყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა სახლი — ორშაბათი მძიმე დღეა, კომუნარების ბაღი — ჯუნგლი, საქართველო (საზაფხულო) — სიყვარული და ოცნება,

ტელევიზია

20 მაისი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — უფროსკლასელთათვის — „სკოლების დასახმარებლად“, 19.05 — კონნარკევი „ბულგარეთის ღიმილი“, 19.25 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის „მოწინავე გამოცდილების სკოლა“ — „ჰიდროპონიკა ხალხის სამსახურში“, 19.45 — კინონარკევი „ლენინის გორა“, 20.05 — სპორტული კვირეული“, 20.25 — მხატვრული ფილმი „ორი ბატონი №“, 22.10 — კვირის ამბები რუსულ ენაზე.

რადიო

20 მაისი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — ა. კერესელიძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ბერეჩა“, 10.30 — ა. მირცხულავა ლექსები, 11.15 — კონცერტი ფ. არაყიშვილის ნაწარმოებებიდან, 12.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „კალიდან — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“, 12.30 — ბრუსილოვსკი. მეხუთე სიმფონია, 13.40 — უკრაინული ხალხური სიმღერები, 17.15 — ბახი. სიუიტა ფლეიტის, სიმებიანი ორკესტრისა და ჩემბალოსათვის, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. კ. ჩაპეკი. „ზოაპარი ჩიტებზე“, 18.10 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 18.45 — არიები ოპერებიდან გ. ნელეპის შესრულებით, 19.30 — გადაცემა — „იხსენეტორ-პარტორგანიზატორი ვ. ზონია მოგვითხრობს“, 19.45 — საბჭოთა კომპოზიტორების ლირიკული სიმღერები, 20.15 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — გადაცემა კულტურის რადიოუნივერსიტეტის მსმენელთათვის — კონცერტი-საუბარი: „საბჭოთა ოპერა (II გადაცემა), 22.05 — ი. რ. ინანიშვილის მოთხრობები ციკლიდან „მთაში“, 23.30 — ს. რახმანინოვი. რაფსოდია პაგანინის თემებზე.

ამინდი თბილისში 120 წლის მანძილზე

დამთავრდა ჰიდრომეტეოროლოგთა სამეცნიერო სესია

როგორი იყო თბილისის კლიმატი 120 წლის წინათ? რა ცვლილებები განიცადა მან? ამ საკითხებს მიუძღვნა თავისი ნაშრომი — „თბილისის ჰაერის ტემპერატურის ცვლილება 120 წლის დაკვირვების მიხედვით“ — ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კლიმატოლოგიისა და აეროლოგიის განყოფილების უფროსმა, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ცუცქირიძემ.

მრავალი წლის კვლევის, აგრეთვე თბილისის ჰაერის ტემპერატურაზე, 1844 წელს დაწყებული სისტემატური დაკვირვების შედეგების შესწავლის საფუძველზე ცუცქირიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოს დედაქალაქის კლიმატში შეინიშნება დათბობა. მაგალითად, 100-120 წლის მანძილზე იანვრის ტემპერატურა 2 გრადუსით დათბა. ნაკლები დათბობა შეინიშნება ზაფხულის თვეებში.

ი. ცუცქირიძემ შეადარა თბილისის ჰაერის ტემპერატურის მონაცემები იმ მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა შედეგებს, რომლებიც წარმოებულია სოფელ ადგილებში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კლიმატის დათბობა აიხსნება ჰაერის მასების ფენების გადადგილების ინტენსიურობის გაძლიერებით.

ცუცქირიძემ ეს მოახსენა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის XI საიუბილეო სამეცნიერო სესიას, რომელიც მიმდინარეობდა 14-დან 16 მაისამდე თბილისში. ეს სესია მიეძღვნა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის დაარსების 120 წლისთავს.

სესიაზე მოისმინეს 50 მოხსენება ჰიდრომეტეოროლოგიის მეცნიერების სხვადასხვა პრობლემაზე, ამიერკავკასიის წყლის რესურსების, კლიმატური რეჟიმისა და სითბური ბალანსის ცვლილებების შესახებ. (საკდესი).

მატჩები • ჩემპიონატები

სენსაციური ტური

მცირე შესვენების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა ნაკრების მზადებით პასუხსაგები შეხვედრებისათვის, „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდები 17 მაისს კვლავ ჩაებნენ ბრძოლაში. ეს იყო საკავშირო ჩემპიონატის მეათე ტური, რომელიც არაერთი სიურპრიზით აღინიშნა.

უსიამოვნება შეემთხვა ლიდერთა ერთ ჯგუფს, მათ კვლავ დაკარგეს ქულები და გაიუარესეს პოზიციები სატურნირო ცხრილში. ამ მხრივ პირველ რიგში გვაოცებს თბილისის დინამოელთა წარუმატებლობა. ჩინებული სტარტის შემდეგ უკანასკნელ ოთხ მატჩში მათ შვიდი ქულა დაკარგეს, რაც გულშემატკივართა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. თავი რომ დავანებოთ დაცვის თამაშის სუსტ მხარეებს, უხეშ შეცდომებს, რომლებიც ძვირად უჯდება გუნდს, საკითხავია, რას აკეთებენ ცნობილი ფორვარდები, რატომ ვერ გააქვთ ბურთები?

გასულ კვირადღეს თბილისის დინამოელები რიგით მესამე ხიფათს გადაეყარნენ, მათ წაგეს მატჩი დონეცკში „შახტიორთან“ 1:2. ერთადერთი ბურთი მეორე ტაიმში, როდესაც ანგარიში იყო 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ, გაიტანა აფშევმა, რომელმაც მ. მესხი შეცვალა. „შახტიორიდან“ გოლების ავტორები იყვნენ ხმელნიცკი და ანანჩენკო.

ზაიბორძიცა კიევის „დინამომაც“. მართალია, მისი თამაში უფრო ეფექტური და ეფექტური იყო ბაქოში „ნეფტიანიკთან“, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისი დინამოელებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. სხარჩინმა დარტყმით ჭანჭალიაშვილის მიერ ჩაწოდებულ ბურთს მიუსწრო კუზნეცოვმა და იგი მეტოქის კარში გაიტანა. ეს ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ თამაშში, ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელმა კიევის „დინამომ“ ორი ქულა დაკარგა.

ყველაზე სენსაციური მაინც ქუთაისის „ტორპედოს“ დამარცხება იყო დონის როსტოვში ადგილობრივ სკა-სთან. დამყარებულ იქნა სეზონის „რეკორდი“. მასპინძელთა შვიდ გოლს ტორპედოელებმა ვერაფერით ვერ უპასუხეს და კიდევ ორი ქულა დაკარგეს. როსტოველებიდან ორ-ორი ბურთი გაიტანეს პონედელნიკმა და კოპაევმა, თითო — მამაკინმა, შიკუნოვმა და ანდრიეწკომ. სამწუხაროა, რომ „ტორპედო“ ვერ გასცდა აუტსაიდერთა რიგებს, მაგრამ არასასიამოვნოა ისიც, რომ ქუთაისელებს ყველაზე მეტი ბურთი (15) აქვთ მიღებული საკუთარ კარში.

არც ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონს მოსკოვის „დინამოს“ აქვს საქმე კარგად. დინამოელებმა უკვე 8 ქულა დაკარგეს. მეათე ტურში ჩემპიონს საკუთარ მოედანზე ბედმა არ გაუღიმა გორკის „ვოლ